საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N395 2024 წლის 18 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

1. გელათის სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო, სარეკონსტრუქციო და საკონსერვაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს გამოუყოს 7 500 000 (შვიდი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი.

2. დაევალოს სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური

მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (მიმღების დასახელება – გელათის სამონასტრო კომპლექსი) 7 500 000 (შვიდი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის გადარიცხვა ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**